საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი № 8

ქ. თბილისი

25.01.2019

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

ქეთევან ქოქრაშვილი - სსიპ - საქარტველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;
გიორგი ამილახვარი - შპს "თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის" ვიცე-რექტორი, ასოცირებული პროფესორი, საბჭოს თამჯდომარის მოადგილე;
ნატო გენგიური - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ძველი ქვეყნების ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელი/მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;
ირაკლი ბურდული - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი, პროფესორი;
სერგო ჭელიძე - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" აფილირებული ასოცირებული პროფესორი, სამართალმცოდნეობის საბაკლავრო და სამართლის სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი;
ნიკოლოზ ჯავახიშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი სიტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;
გაიანე სიმონია - სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსი, გერიატორის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;
ანა ფირცხალაშვილი - შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის" საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დეკანი, სამართლის სკოლის პროფესორი, საჯარო მმართველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი;
მაკა ლაშხია - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
თეა მჭედლური - საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის თელავის ფილიალის თავმჯდომარე, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

მაია გელაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;
თამარ აფრასიძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები :

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი:

ირმა ინაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
ნინო ჩიკვილაძე - ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
რატი ბურდიაშვილი - ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „საბანკო და საფინანსო ტექნოლოგიების" ხელმძღვანელი;
გიორგი ცაავა - მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „საბანკო პროცესების მართვა" ხელმძღვანელი;
გია არაბიძე - ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის დეკანი;
ნიკოლოზ აბზიანიძე - ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის დეკანი;
არჩილ სამადაშვილი - მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „ტექნოლოგიურიპროექტების მენეჯმენტი და ინდუსტრიული პოლიტიკა" ხელმძღვანელი.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები:

გოჩა თუთბერიძე;
თეა კასრაძე;
დავით ქარცივაძე;
ნიკა კიკნაძე;
დავით ასლანიშვილი;
ნინო პატარაია;
ანა მიხელიძე.

საბჭოს სხდომა დაიწყო 17:00 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^2 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ქოქრაშვილმა. სხდომის მდივნის ფუნქცია აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე სხდომის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით დაეკისრა საბჭოს წევრს - ლევან გორდეზიანს.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების

აკრედიტაციის დებულების“ 27^2 მუხლის მე-5 შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27^5 მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საბანკო და საფინანსო ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საბანკო პროცესების მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ტექნოლოგიური პროექტების მენეჯმენტი და ინდუსტრიული პოლიტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით თვითაცილება განაცხადა ქეთევან ქოქრაშვილმა. შესაბამისად, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ამილახვარი.

ვინაიდან შემდგომი ორი საკითხი ეხებოდა მხოლოდ ტექნიკური უნივერსიტეტის აკრედიტაციის საკითხებს და ორივე პროგრამა იყო ერთიდაიგივე მიმართულების, მიზანშეწონილი იყო საკითხები ერთად განხილულიყო.

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საბანკო და საფინანსო ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საბანკო და საფინანსო ტექნოლოგიები
კვალიფიკაციის დონე	მე-6 დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია **კვალიფიკაციის კოდის მითითებით**	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში 0204
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საბანკო პროცესების მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საბანკო პროცესების მართვა
კვალიფიკაციის დონე	მე-7 დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ფინანსებში 0204
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშებს, ექსპერტთა დასკვნის პროექტებზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებით არსებულ დასკვნაში ასახულ გარემოებებზე. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაშ არსებული რეკომენდაციები და რჩევები.

რეკომენდაციები:

- საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი უნდა პასუხობდეს მისანიჭებელ კვალიფიკაციას და მასში ასახული უნდა იყოს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა; აგრეთვე, მიზნის ფორმირებისას, გათვალისწინებულ უნდა იქნას, როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნები;
- უნდა მოხდეს პროგრამის სწავლის შედეგების რაოდენობის შემცირება, პროგრამის ყველა სწავლის შედეგი უნდა იყოს გაზომვადი და შეფასებადი;
- პროგრამას უნდა ჰქონდეს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა, რომელიც უჩვენებს, თუ როგორ არის დაკავშირებული პროგრამის მიზნები სწავლის შდეგებთან;
- პროგრამას უნდა გააჩნდეს სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, რომელიც სწავლის შედეგების მიღწევის დადგენის საშუალებას იძლევა;
- პროგრამაში უნდა იყოს განსაზღვრული სამიზნე ნიშნულები თითეული სწავლი შედეგის მიხედვით;
- სასწავლო კურსის „ფული, ფულის მიმოქცევა და კრედიტი" შეთავაზება არ უნდა ხდებოდეს პირველ სემესტრში დაშვების წინაპირობების გარეშე. ის არ არის შესავალი კურსი. სილაბუსით

გათვალისწინებულია საკმაოდ რთული საკითხების სწავლება, რომლებიც უკვე ითხოვენ მიკრო და მაკრო ეკონომიკის პრინციპების ცოდნას. ამასთან, ეს სასწავლო კურსი სავალდებულო საგნების კომპონენტიდან გადატანილი უნდა იქნას არჩევითი დისციპლინების კომპონენტში;

- „მენეჯერული აღრიცხვა“ უნდა იყოს სავალდებულო კომპონენტი და კურსზე დაშვების წინაპირობად საბუღალტრო აღრიცხვის საფუძვლების ნაცვლად უნდა იყოს ფინანსური აღრიცხვა;
- „პროექტების მართვა“ არჩევითის ნაცვლად უნდა იყოს სავალდებულო სასწავლო კურსი;
- პროგრამის სავალდებულო ნაწილს უნდა დაემატოს სასწავლო კურსები:
- „პერსონალის მართვა“ და „ლიდერობა“;
- Excel–ი ბიზნესში“ უნდა ისწავლებოდეს ადრეულ სემესტრებში (მესამე, მეოთხე);
- „ფინანსური სისტემების მართვის“ სავალდებულო სასწავლო კურსი იმეორებს;
- „ფინანსების საფუძვლების“ საკმაოდ ბევრ საკითხს. სილაბუსის გადამუშავების შემდეგ იგი უნდა იქნას შეეთავაზოს სტუდენტებისათვის როგორც არჩევითი სასწავლო კურსი;
- სავალდებულო სასწავლო კომპონენტს უნდა დაემატოს „აკადემიური წერის“ სასწავლო კურსი და ის უნდა იყოს საბაკალავრო ნაშრომზე დაშვების წინაპირობა;
- სტუდენტს უნდა მიეცეთ საშუალება, თვისუფალი კომპონენტის ფარგლებში, თავად აირჩიონ ის სასწავლო კურსები, რომლებსაც არ აქვთ დაშვების წინაპირობები უნივერსიტეტის მასშტაბით შეთავაზებული სასწავლო კურსებიდან;
- გადაიხედოს სილაბუსები, რათა ყველა მათგანში იყოს მითითებული, თუ რომელი სავალდებულო ლიტერატურიდან უნდა მოხდეს კვირების მიხედვით გაწერილი კონკრეტული თემების შესწავლა;
- გადაიხედოს და მეტი სიზუსტით შეირჩეს სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურა, რათა მასში ასახული იყოს თანამედროვე კვლევები და ტენდენციები;
- გაფართოვდეს სტუდენტთა მიერ პროგრამის ფარგლებში გასავლელი საწარმოო პრაქტიკის სფერო/არეალი და შესაბამისად პრაქტიკის ობიექტების საქმიანობის არეალიც;
- მეტი ყურადღებით შეირჩეს საბაკალავრო ნაშრომების თემები, რათა ისინი შესაბამისობაში იყვნენ პროგრამის ფარგლებში მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან; მეტი ყურადღება დაეთმოს საბაკალავრო ნაშრომებზე მუშაობის დროს სტუდენტთა მიერ კვლევის ელემენტების და რელევანტური ლიტერატურის გამოყენებას;
- აკადემიური პერსონალი უნდა იყენებდეს სწავლება/სწავლის თანამედროვე მეთოდებს, შეფასების კრიტერიუმები უნდა იყოს ნათელი და სათანადოდ გაწერილი სილაბუსში;
- აუცილებელია სტუდენტებისთვის საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებში, კვლევებსა და საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის მოტივაციის გაძლიერება და ხელშეწყობა;
- უნდა შეიქმნას მექანიზმი, რისი საშუალებითაც სტუდენტები მიიღებენ, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას;
- გაიზარდოს კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ფინანსური რესურსი;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საჭიროებს უფრო მჭიდრო თანამშრომლობას პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან და დაინტერესებულ მხარეებთან. აუცილებელია პროგრამაში ჩართული პერსონალის გადამზადება და მათთვის ტრენინგების მოწყობა, თუ როგორ უნდა ჩამოყალიბდეს პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სწავლება-სწავლის ფორმები და შეფასების მეთოდები, პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების

რუკა, სწავლის შედეგების შეფასების გეგმა და სამიზნე ნიშნულები სწავლის შედეგებისათვის.

რჩევები:

- დაწესებულებამ უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებისა, აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის ტრენინგების ორგანიზება, თუ როგორ უნდა შემუშავდეს პროგრამის და ცალკეული სასწავლო კურსების სწავლის შედეგები, პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა, სწავლის შედეგების შეფასების გეგმა;
- სასურველია შეიცვალოს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და საბანკო და საფინანსო ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგარამაზე სწავლის უფლება უფლება მიეცეს მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მეოთხე გამოცდას მათემატიკაში ჩააბარებენ;
- პროგრამის მდგრადი განვითარებისთვის ფაკულტეტმა უნდა იზრუნოს ახალგაზრდა პერსონალის პროგრამაში ჩართვაზე, თან ვინაიდან საქმე ძალიან სწრაფად ცვალებად საბანკო ტექნოლოგიებს ეხება, რომელსაც შედარებით ახალგაზრდა პერსონალი უკეთ გააანალიზებს, გაითავისებს და მიაწვდის სტუდენტებს ვიდრე ხანშიშესული.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭო გაეცნო დაწესებულების მიერ მომზადებულ არგუმენტირებულ პოზიციას, რომელიც მომზადებული იყო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტთან დაკავშირებით, იგი დაინტერესდა ექსპერტები იზიარებდნენ, თუ არა დაწესებულების არგუმენტებს. რაზეც აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ჯგუფი არ ეთანხმებოდა დაწესებულების არგუმენტებს.

საბჭოს წევრი ლევან გორდეზიანმა მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს რას გულისხმობდნენ ექსპერტების დასკვნაში არსებულ ჩანაწერზე „ნაკლებად შეესაბამება", რაზეც ექსპერტმა განმართა, რომ იგულისხმებოდა ნაწილობრივ შესაბამისობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს გამოეთქვათ თავიანთი აზრი დასკვნაში დაფიქსირებულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა მოკლედ გააცნო საბჭოს პროგრამის შესახებ ინფორმაცია, რომ 240 კრედიტიდან 25 კრედიტი იყო თავისუფალი კომპონენტისთვის განკუთვნილი, 15 დან 10 კრედიტი საბაკალავრო ნაშრომი, დაემატა 5 კრედიტი პრაქტიკის კომპონენტი, დარჩენილი 200 კრედიტი გადანაწილებული იყო 47 სასწავლო კურსზე. ამათგან 20 სასწავლო კურსი მოიცავს სემინიარულ მეცადინეობას 25 ლაბორატორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებზე გათვლილ სასწავლო კურსებს. პროგრამა ითვალისწინებდა შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს, პროგრამის მოდიფიცირებაში ჩართული იყვნენ სტუდენტები, კურსდამტავრებულები, დამსაქმებლები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი. აქტიურად იყო ჩართული ისეთი მოწვეული პერსონალი რომლებიც ამავდროულად იყვნენ პრაქტიკოსები. აღნიშნული პირები ასევე წარმოადგენდნენ დამსაქმებლებსაც. პროგრამაში ინტეგრირებული იყო ყველა თაობის წარმომადგენელი. დეპარტამენტთან არსებობდა სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილი იყო შესაბამისი ტექნიკითა და ტექნოლოგიებით, სტუდენტები არა მხოლოდ სწავლობენ ამ ლაბორატორიებში არამედ, მათ უკვე დამოუკიდებლად შეუძლიათ ნებისმიერ პირს მოემსახურონ, ნებისმიერი საბანკო ოპერაციით. დასაქმებულ სტუდენტებს სთავაზობენ ინდივიდუალურ სასწავლო გრაფიკს. ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომი იყო ყველა ის სახელმძღვანელო რაც მითითებული იყო პროგრამით

გათვალისწინებულ სილაბუსებში, როგორც მატერიალურად ისე ელექტრონულად. ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტს ნებისმიერი ადგილიდან შეეძლო ელექტრონულად წვდომა ჰქონოდა ნებისმიერ სახელმძღვანელოზე.

სხდომის თავმჯდომარემ თხოვნით მიმართა დაწესებულების წარმოადგენლებს, ყურადღება გაემახვილებინათ მეორე სტანდარტთან დაკავშირებულ რეკომენდაციებზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა 2.2 კომპონენტთან დაკავშირებით სადაც საუბარი იყო გარკვეული სასწავლო კურსების არჩევითი მოდულიდან სავალდებულოში გადატანასა და პირიქით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გარკვეულმ სასწავლო კურსებთან დაკავშირებით დაწესებულების მხრიდან იყო მზაობა რეკომენდაციის გათვალისწინებისა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გოჩა თუთბერიძემ განმარტა, რომ პროგრამა ამზადებდა სტუდენტებს ბანკისთვის და აღნიშნული მიზანი პროგრამის შინაარსიდან და სტრუქტურიდან გამომდინარე მიღწევადი იყო, თუმცა რადგან პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია იყო ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში საჭირო ხდებოდა რეკომენდაციაში აღწერილი ცვლილებების განხორციელება. რასაც დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა.

დაწესებულების განცხადებით აღნიშნული ცვლილებების განხორციელება მიმდინარე სემესტრში შეუძლებელი იყო, და სემესტრის დასრულების თანავე შესაძლებელი იქნებოდა აღნიშნული რეკომენდაციის მიხედვით პროგრამის მოდიფიცირება.

სხდომის თავმჯდომარემ გააკეთა განმარტება, რომ საბჭოც გადაწყვეტილების დროს ეყრდნობოდა იმ მდგომარეობას, რაც ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს იქნა ადგილზე გადამოწმებული მათ მიერ, რის საფუძველზეც დაიწერა ექსპერტტა ჯგუფის დასკვნა.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ყველა სილაბუსი იყო არსებული და არ საჭიროებდა შექმნას, საჭირო იყო მხოლოდ ერთი ბლოკიდან მეორეში გადატანას.

2.4 კომპონენტთან დაკავშირებულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ფაკულტეტს გაფორმებული ჰქონდა უკვე ხელშეკრულებები არა მხოლოდ საბანკო სფეროში არსებულ დამსაქმებლებთან ხელშეკრულებები, როგორც ექსპერტების რეკომენდაციაში იყო აღნიშნული, არამედ სხვა სფეროში არსებულ კომპანიებთანაც, ესენი იყო აუდიტორული კომპანიები, პრაქტიკული ბუღალტერიის ცენტრი, სტატისტიკის ეროვნული სამსახური და სხვა. ხელშეკრულებებში ასევე მითითებული იყო სტუდენტების რაოდენობა და მათი ინტერესებისა და სურვილიდან გამომდინარე გადანაწილდებოდნენ შესაბამის ობიექტებზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე განმარტა საბაკალავრო ნაშრომებთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე, რომ სტუდენტებისათვის შეტავაზებული საბაკალავრო ნაშრომები ითვალისწინებდა დარგში შმავალი ქვედარგების შინაარსსაც. დაწესებულების წარმომადგენელმა ჩამოთვალა 2018 წელს დაცული საბაკალავრო ნაშრომების სახელწოდებები: პირველადი და მეორადი საფონდო ბირჟები; სავალუტო სისტემების სახეები და ელემენტები;

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტები; საქართველოს სადაზღვევო ბაზრის პრობლემები და მისი განვითარების პერსპექტივა და სხვა.

ექსპერტის განმარტებით, საბაკალავრო ნაშრომების ნაწილი არ შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს, რადგან მაკრო ეკონომიკისა და მიკრო ეკონომიკის თემატიკის ამსახველი იყო და არა საბანკო მიმართულების. ექსპერტების მიიჩნებდნენ, რომ ნაშრომები ყოფილიყო უშუალოდ საბანკო დარგის ჭრილში წარმოდგენილი, ნაშრომების სათაურებსაც უნდა ასესახა ნაშრომის შინაარსი და არ უნდა ყოფილიყო ტრაფარეტული. რა თქმა უნდა ბაკალავრიოატის სტუდენტი სრულყოფილ კვლევას ვერ ჩაატარებდა თუმცა ნაშრომებში უნდა ყოფილიყო გარკვეული კვლევის ელემენტები. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით საბაკალავრო ნაშრომების გარკვეული ნაწილი უფრო ეკონომიკის მიმართულების იყო.

დაწესებულების წარმომადგენლი არ ეთანხმებოდა ექსპერტებს აღნიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით და თვლიდა, რომ ბანკირს და ნებისმიერ ფინანსისტს უნდა სცოდნოდა ეკონომიკის საკითხები.
სხომის თავმჯდომარე დაინტერესდა რა თანამედროვე ტექნოლოგიებს იყენებდნენ პროგრამაზე სწავლების დროს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გარდა იმისა, რომ პროგრამაში გათვალისწინებული იყო თანამედროვე ტექნოლოგიების შემსწავლელი სასწავლო კურსები, სასწავლო პროცესშიც გამოიყენებოდა Moodl-ის სისტემა.

საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა პროგრამაში გათვალისწინებული ყოფილიყო სამართლის მიმართულების სასწავლო კურსი სავალდებულო სასწავლო კურსებში. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ თავისუფალ კრედიტებში სამართლის სასწავლო კურსები გათვალისწინებული იყო, სავალდებულო კურსებში ისწავლებოდა სასწავლო კურსი საბანკო და საფინანსო საქმიანობის ნორმატიული რეგულირება, სადაც გათვალისწინებული იყო ყველა ის რეგულაცია რას ბანკირს და ფინანსისტს დასჭირდებოდა.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა თვითშეფასების ანგარიშში, კურსამთავრებულების გრაფაში არსებულ სიცარიელესთან დაკავშირებით, ტექნიკური უზუსტობით იყო გამოწვეული აღნიშნული, თუ პროგრამას კურსდამთავრებული არ ჰყავდა. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამა აკრედიტებული იყო 2013 წლიდან და პირველი გამოშვება იყო 2017 წელს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა აკრედიტაციის ექსპრეტთა ჯგუფს წარმოედგინათ დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები საბანკო პროცესების მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით.

ექსპერტმა გოჩა თუთბერიძემ საბჭოს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები საბანკო პროცესების მართვის სამაგისტრო პროგრამასთან მიმართებით:
რეკომენდაციები:

- საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი სრულფასოვნად უნდა პასუხობდეს მისანიჭებელ კვალიფიკაციას და მასში ასახული უნდა იყოს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა; პროგრამის მიზნები ლოგიკურად უნდა იყოს დაკავშირებული პროგრამის სწავლის შედეგებთან;
- უნდა მოხდეს პროგრამის სწავლის შედეგების რაოდენობის შემცირება, პროგრამის ყველა სწავლის შედეგი უნდა იყოს გაზომვადი და შეფასებადი;
- პროგრამას უნდა ჰქონდეს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა, რომელიც უჩვენებს, თუ როგორ არის დაკავშირებული პროგრამის მიზნები სწავლის შდეგებთან;
- პროგრამას უნდა გააჩნდეს სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, რომელიც სწავლის შედეგების მიღწევის დადგენის საშუალებას იძლევა;
- პროგრამაში უნდა იყოს განსაზღვრული სამიზნე ნიშნულები თითეული სწავლი შედეგის მიხედვით;
- საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა;
- სავალდებულო სასწავლო კომპონენტი უნდა მოიცავდეს ისეთ სასწავლო კურსებს, რომელთა ფარგლებშიც მოხდება პერსონალის სტრატეგიულ მართვასთან, ბიზნესის სამართლებრივ რეგილირებასთან, მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღებასთან, ინვესტიციების რეგულირებასა და მართვასთან, ფინანსურ პოლიტიკასთან და სხვ, დაკავშირებული საკითხების სწავლება და რომელთა ცოდნაც აუცილებელია პროგრამით განსაზღვრული კვალიფიკაციის მისანიჭებლად;
- აუცილებელია გაიზარდოს პროგრამის არჩევითი კომპონენტი და სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა არჩევითი და სავალდებულო სასწავლო კურსების კომბინაციით, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, შეიმუშაონ ინდივიდუალური პროფილი;
- გაიზარდოს „ბიზნესის კვლევის მეთოდების" სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა და სასწავლო კურსის ფარგლებში სიღრმისეულად უნდა ისწავლებოდეს რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის მეთოდები, ასევე საჭიროა მისი სწავლება მოხდეს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ;
- ბიზნესის კვლევის მეთოდები განისაზღვროს, როგორც პროგრამის კვლევით კომპონენტებზე დაშვების წინაპირობა;
- გადაიხედოს პროგრამის კვლევითი კომპონენტის სტრუქტურა და გათვალისწინებული კრედიტების რაოდენობა;
- უსდ-მ მოახდინოს კრედიტების განაწილების სისტემის გადახედვა. სასწავლო კურსების ფარგლებში მისანიჭებელი კრედიტების რაოდენობის მეტი სიზუსტით განსაზღვრა უსდ-ს მისცემს საშუალებას პროგრამაში ჩართოს ის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები, რომლეთა შესწავლაც აუცილებელია ფინანსებში ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური ხარისხის მქონე პირთათვის;
- უსდ-მ მეტი ყურადღება დაუთმოს სტუდენტთა მიერ სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული კვლევის ხარისხს, გამოყენებულ კვლევის მეთოდებს და ლიტერატურას. მეტი სიზუსტით შეირჩეს საკვლევი თემები, რათა ისინი შესაბამისობაში იყვნენ პროგრამის ფარგლებში მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან;
- გაფართოვდეს პრაქტიკის ობიექტების საქმიანობის არეალი. შეირჩეს პრაქტიკის ობიექტები იმ ნიშნით, რომ მათ უზრუნველყონ როგორც პრაქტიკის, ისე მთლიანობაში პროგრამის მიზნების და შედეგების მიღწევის ხელშეწყობა;
- აკადემიური პერსონალი უნდა იყენებდეს სწავლება/სწავლის თანამედროვე მეთოდებს;

- შეფასების კრიტერიუმები უნდა იყოს ნათელი და გაწერილი სილაბუსში;
- აუცილებელია სტუდენტებისთვის საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებში, კვლევებსა და საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის მოტივაციის გაძლიერება და ხელშეწყობა;
- უნდა შეიქმნას მექანიზმი, რისი საშუალებითაც სტუდენტები მიიღებენ, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას;
- სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სამეცნიერო კვლევით კომპონენტს;
- მაგისტრატურის დებულებაში უნდა განისაზღვროს მაგისტრანტის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების შერჩევის წესი;
- დაწესებულებამ განუხრელად უნდა დაიცვას სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების საკუთარი ინსტრუქცია;
- სამაგისტრო ნაშრომები უნდა ეყრდნობოდეს უახლეს ინფორმაციას და თანამედროვე ლიტერატურას; სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელები უნდა გადამზადდნენ კვლევის მეთოდებში;
- დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელების ტრენინგი პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების ურთიერთკავშირის, ასევე კურიკულუმის შედგენის და სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღავნელების შერჩევის წესების შესახებ;
- გაიზარდოს კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ფინანსური რესურსი;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საჭიროებს უფრო მჭიდრო თანამშრომლობას პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან და დაინტერესებულ მხარეებთან.
- აუცილებელია პროგრამაში ჩართული პერსონალის გადამზადება და მათთვის ტრენინგების მოწყობა, თუ როგორ უნდა ჩამოყალიბდეს პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სწავლება-სწავლის ფორმები და შეფასების მეთოდები, პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა, სწავლის შედეგების შეფასების გეგმა და სამიზნე ნიშნულები სწავლის შედეგებისათვის.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა მისცა დაწესებულების წარმოადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, პროგრამა სტუდენტს აძლევდა საბანკო და საფინანსო სფეროს ღრმა ცოდნას და საბანკო პროცესების მართვისათვის საჭირო უნარებს. განახლების შემდეგ პროგრამას დაემატა 5 კრედიტიანი პრაქტიკა. ყველა სასწავლო კურსში ლიტერატურა განახლდა ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოცემულით. დაემატა ახალი სასწავლო კურსები: ბიზნეს პროცესების ინჟინერინგი და მენეჯმენტი, ბიზნეს კვლევის მეთოდები, კომერციული ბანკის საქმიანობის ფინანსური ანალიზი, სტუდენტების მოთხოვნით გათვალისწინებულია კიდევ ორი სასწავლო კურსი: კომუნიკაციის სტრატეგიები და პროფესიული ტექსტის რეფერირება რომელიც იკითხებოდა ორ ენაზე. პროგრამა შრომის ბაზარზე ორიენტირებული იყო, შემუშავებაში ჩართული იყო ცველა დაინტერესებული მხარე, ფინანსურად მდგრადი იყო, პროფესორები რეგულარულად მონაწილეობდნენ საერთაშორისო კონფერენციებში რასაც უნივერსიტეტი სრულად აფინანსებდა და ა.შ. რეკომენდაციების ნაწილთან დაკავშირებით დაწესებულებას ჰქონდა მოსაზრებები.

1.1 კომპონენტთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი იყო „საბანკო ბიზნეს-პროცესების მოდელირების, ინჟინერინგის, მენეჯმენტის და კორპორატიული ფინანსების თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხების სიღრმისეული შესწავლა, შემოქმედებითი მუშაობის უნარების მქონე სპეციალისტების მომზადება, რომელთაც შეეძლებათ საბანკო პროცესების მართვისათვის საჭირო თეორიული ცოდნის სრულყოფა და პრაქტიკაში გამოყენება". შემოქმედებითი პროცესი გულისხმობდა პროცესს, როდესაც სტუდენტი საკუთარი შესაძლებლობების, უნარ-ჩვევების გარემოსტან ინტეგრაციის შედეგად იკვლევდა სიტუაციის შესაბამის ახალ და/ან ორიგინალურ პროდუქტს, რაც მაგისტრატურის საფეხურს სრულად შეესაბამებოდა. აღნიშნულიდან გამომდინარე დაწესებულების წარმომადგენელი თვლიდა, რომ 1.1 კომპონენტი სრულად შესაბამისობაში იყო სტანდარტის მოთხოვნებთან.

2.1 კომპონენტთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე, რაც პროგრამაზე დაშვების წინაპირობას შეეხებოდა, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამით ინტერესდებოდნენ ინგლისური, გერმანული, ფრანგული და სხვა უცხოური ენების მცოდნე ბაკალავრები, შესაბამისად უნივერსიტეტი პროგრამის დაშვების წინაპირობად ვერ განსაზღვრავდა მხოლოდ ინგლისური ენის B2 დონის ცოდნას. აღნიშნულზზე დაყრდნობით, დაწესებულების წარმომადგენელი თვლიდა, რომ 2.1 კომპონენტი შესაბამისობაში იყო სტანდარტის მოთხოვნებთან.

2.2 კომპონენტთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ისეთ საკითხებს, როგორიც იყო მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღება და ინვესტიციების რეგულირება და მართვა, მოიცავდა პროგრამაში არსებული სასწავლო კურსები, როგორიც იყო „ბიზნეს პროცესების ინჟინერინგი და მენეჯმენტი", „საბანკო მენეჯმენტი" და „კორპორაციული ფინანსები".

ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი მზად იყო და გააჩნდა შესაბამისი ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსი, რომ შემუშავებულიყო ისეთი სასწავლო კურსები, რომლებიც მოიცავდნენ პერსონალის სტრატეგიულ მართვასტან, ბიზნესის სამართლებრივ რეგულირებასთან და ფინანსურ პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ამავე კომპონეტში არსებულ რეკომენდაციათან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა „ბიზნესის კვლევის მეთოდების" სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობისა და კურსის ფარგლებში რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდების სიღრმისეულ შესწავლას, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სასწავლო კურსის „ ბიზნესის კვლევის მეთოდების" ავტორი იყო ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, რომელსაც აღნიშნული კურსის სწავლებისათვის სათანადო ვალიფიკაცია უდასტურდებოდა მინიჭებული კვალიფიკაციით, სამუშაო გამოცდილებით და სამეცნიერო კვლევებით, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობით და ა.შ.

4.2 კომპონეტის აღწერით ნაწილში ექსპერტთა მიერ აღნიშნულ დაცულ ნაშრომებში კვალიფიკაციის შეუსაბამო თემებთან დაკავშრებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სამაგისტრო ნაშრომი „საქართველოს საკურორტო მეურნეობა" აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში არ ყოფილა დაცული და ის წარმოადგენდა

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო ნაშრომს. თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნული ნაშრომი შეცდომით იყო მითითებული. ხოლო, ნაშრომი თემაზე „საქართველოს ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა" სრულად შეესაბამებოდა პროგრამის დასახელებასა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას.
დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე განმარტა პრაქტიკის ობიექტების შერჩევასთან დაკავშირებულ რეკომენდაციასთან მიმართებეით, რომ დაწესებულებას ჰქონდა ადამიანური, მატერიალური რესურსი იმისა, რომ პრაქტიკის ობიექტების არეალი მომავალშიც გაეფართოებინა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა დაეზუსტებინა პროგრამის დაშვების წინაპირობასთან დაკავშრებით უნივერსიტეტი გულისხმობდა, რომ პროგრამაზე დაშვების წიმაპირობა მხოლოდ ინგლისური ენის B2 დონა არ უნდა ყოფილიყო და სხვა ევროპული ენების შემთხვევაშიც B2 დონე უნდა ყოფილიყო განსაზღვრული? დაწესებულების წარმოამდგენლების განმარტებით პროგრამაზე დაშვების წინაპირობად არ იყო მითითებული ენის ფლობის განმსაზღვრელი დონე. მათი განმარტებით, სტუდენტს უნდა შეძლებოდა ნებისმიერი, პროგრამაში მითითებული, ენის ცოდნით მისულიყო პროგრამაზე.
საბჭოს წევრი სერგო ჭელიძე დაინტერესდა, თვლიდა თუ არა დაწესებულების წარმომადგენელი, რომ მაგისტრატურის სტუდენტს უნდა შეძლებოდა უცხოენოვანი ლიტერატურის გამოყენება, და თუ ასე თვლიდნენ, მაგრამ პროგრამაზე დაშვებისათვის არ იყო მოთხოვნილი B2 დონეზე, როგორ უნდა დაეძლია სტუდენტს აღნიშნული საკითხი. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ არც ერთ სილაბუსში, ძირიტად ლიტერატურაში არ იყო მითითებული უცხოენოვანი სახელმძღვანელო. ამასთან, ბაკალავრის კვალიფიკაციის მქონე პირი უკვე ფლობდა უცხო ენას B2 დონეზე. უცხოელი სტუდენტის შემთხვევაში, ის თავის მშობლიურ ენაზე გაეცნობოდა დამატებით ლიტერატურას.

ექსპერტის განმარტებით პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტს, რომელსაც არ ექნებოდა ინგლისური ენის კომპეტენცია B2 დონეზე ძალიან გაუჭირდებოდა სრულყოფილი ცოდნის მირება, თუნდაც ეს ყოფილიყო გერმანელი სტუდენტი, რადგან დარგის უახლესი ლიტერატურა, წყაროები და ა.შ. უდიდესი ნაწილი ხელმისაწვდომი იყო ინგლისურ ენაზე.

17:10 საათზე საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომა განაახლდა 17:30 საათზე.

საბჭომ მიიჩნია, რომ საბანკო და საფინანსო ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მოცემული მე-2 სტანდარტის შეფასება, რომელიც შეფასებული იყო როგორც ნაწილობრივ შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან, შეფასებული უნდა ყოფილიყო როგორც მეტწილად შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან. აქედან გამომდინარე, ვინაიდან, პროგრამა 3 სტანდარტთან მიმართებით ფასდებოდა, როგორც მეტწილად შესაბამისი, დაწესებულებას, აკრედიტაციის დებულების თანახმად, მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე 6 თვის განმავლობაში უნდა წარმოედგინა ანგარიში.

ასევე, საბჭოს მოსაზრებით, პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით, აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე

გადაწყვეტილება მიზანშწონილია ძალაში შევიდეს 2018 წლის 31 დეკემბრიდან, როდესაც პროგრამას ამოეწურა აკრედიტაციის ვადა.

შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საბანკო და საფინანსო ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და 3^1 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^5 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 27^5 მუხლის მე-7 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საბანკო და საფინანსო ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.
გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2018 წლის 31 დეკემბრიდან.

საბჭომ მიღებული რეკომენდაციების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად დაწესებულებას განუსაზღვრა 6 თვე.

ასევე, საბჭოს მოსაზრებით, პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით, აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე გადაწყვეტილება მიზანშწონილია ძალაში შევიდეს 2018 წლის 31 დეკემბრიდან, როდესაც პროგრამას ამოეწურა აკრედიტაციის ვადა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საბანკო პროცესების მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 1 წლისა და 6 თვის ვადით პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3^2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების

აკრედიტაციის დებულების“ 27[5] მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 27[5] მუხლის მე-7 პუნქტის, 27[6] მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საბანკო პროცესების მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 1 წლის და 6 თვის ვადით მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია.
გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2018 წლის 31 დეკემბრიდან.

3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ტექნოლოგიური პროექტების მენეჯმენტი და ინდუსტრიული პოლიტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ტექნოლოგიური პროექტების მენეჯმენტი და ინდუსტრიული პოლიტიკა
კვალიფიკაციის დონე	მე-7 დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	მენეჯმენტის მაგისტრი პროექტების მენეჯმენტის სპეციალიზაციით 020327
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებით არსებულ დასკვნაში ასახულ გარემოებებზე.

ექსპერტეთა ჯგუფის თავმჯდომარემ დავით ასლანიშვილმა საბჭოს წარუდგინა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- მიზნები გასაწერია იმგვარად, რომ ცოდნა, უნარები და კომპეტენცია მკაფიოდ გამოჩნდეს პროგრამის გაცხადებულ პრიორიტეტებსა და სამაგისტრო კურსის შედეგს შორის. ამ მხრივ პროგრამა დახვეწას საჭიროებს;

- მკაფიოდ განისაზღვროს სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები დასახული მიზნისა და შედეგების მისაღწევად სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით;
- პროგრამის სწავლის შედეგები უფრო მეტ შესაბამისობაშია მოსაყვანი საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებთან.
- სასწავლო კურსი - სილაბუსები - სისტემატიზაციის ნაკლებობას განიცდის. ამ მიმართულებით არსებობს გარკვეული ტექნიკური ხარვეზები, რასაც სჭირდება გაუმჯობესება.
- შესაბამისობაშია მოსაყვანი პროგრამის შინაარსი და გაცხადებული მიზნები, რამეთუ რიგი სამაგისტრო ნაშრომების შინაარსი და ტემატიკა სცილდება პროგრამის შინაარსს და მიზნებს
- სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და შეფასება სტრუქტურიზებულია, მაგრამ გასაუმჯობესებელია როგორც შინაარსობრივად, ასევე შეფასების მხრივ.
- დასახვეწია შიდა ხარისხის შეფასების მექანიზმები და სასურველია ხარისხის გარე შეფასების მექანიზმების ჩართვა.
- გააქტიურდეს დაინტერესებული მხარეების, კერძოდ პოტენციური დამსაქმებლების, სტუდენტებისა და კურსდამთარებულების რეალური ჩართულობა პროგრამის პოპულარიზაციის და შემუშავების პროცესში სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოყენებული კრიტერიუმების მეტი გამჭირვალეობის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია განხორციელდეს ცოდნის შეფასების ცალკეულ კრიტერიუმში მისანიჭებელი ქულების რანჟირება.
- სამაგისტრო ნაშრომის ერთჯერადად (დასკვნითი) შეფასების წესი სრულად გაიწეროს უნივერსიტეტის მაგისტრატურის საფეხურზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტში დასახვეწია სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა და მისი ფაქტიური არსებობის საკითხის მდგომარეობა ბიბლიოთეკაში დასახვეწია და შესაბამისობაშია მოსაყვანი საგნების არჩევითობის პრინციპის რეალური დაცვა.
- დასახვეწია სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა და მისი ფაქტიური არსებობის საკითხის მდგომარეობა ბიბლიოთეკაში
- სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და შეფასება სტრუქტურიზებულია, მაგრამ გასაუმჯობესებელია როგორც შინაარსობრივად, ასევე შეფასების მხრი
- გასაუმჯობესებელია სამაგისტრო ნაშრომის შეფასების სისტემა;
- შემუშავდეს და ამოქმედდესშიდა ხარისხის შეფასების სისტემური და თანამონაწილეობითი მექანიზმი, რომლის შესახებ ინფორმირებული იქნება პროგრამის განხორციელებაშიჩართული ყველა პირი და ასევე სხვა დაინტერესებული მხარეები (სტუდენტები, კურსდამთავრებულები და პოტენციური დამსაქმებლები);
- გაიზარდოს არსებული შიდა ხარისხის შეფასების მექანიზმებისა და მათი გამოყენებისშესაძლებლობების შესახებ ცნობადობა ჩართულ/დაინტერესებულ პირებში;
- მოხდესდაინტერესებული პირების რეგულარული გამოკითხვა პროგრამის მიზნებთან, სწავლის შედეგებთან, შინაარსთან, ხარისხთან მიმართებაში დაშემოთავაზებული მოსაზრებები გათვალისწინებულ იქნას პროგრამის დასახვეწად;
- დაკონკრეტდეს პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები და გაიზარდოს მისი როლი აღნიშნული პროგრამის შიდა ხარისხის შეფასების პროცესში;
- აღნუსხული იყოს პროგრამასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემების დამუშავების საფუძველზე განხორციელებული ცვლილებები;
- მოხდეს ხარისხის გარე შეფასების მექანიზმების დივერსიფიკაცია (მაგ. კოლეგიალური შეფასება)პროგრამის შემდგომი განვითარებისმიზნით;

- მოხდეს გარე ხარისხის შეფასების შედეგების კომპლექსური ანალიზი და გამოყენება პროგრამის დახვეწის მიზნით;
- მოხდეს შეფასების სხვადასხვა მექანიზმის შედეგების სისტემური ანალიზის საფუძველზე განხორციელებული ცვლილებების აღრიცხვა და შემდგომი მონიტორინგი;
- დამსაქმებელთა გამოკითხვა გახდეს უფრო კომპლექსური და ატარებდეს რეგულარულ ხასიათს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს გამოეთქვათ თავიანთი აზრი დასკვნაში დაფიქსირებულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით:
დაწესებულების წარმომადგენელმა მოკლედ მიმოიხილა პროგრამა, პირველად პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 2012 წელს, პროგრამას ჰყავდა დაახლოებით 20 კურსდამთავრებული და ყველა მათგანი იყო დასაქმებული. პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ პროგრამა უფრო დაიხვეწა, სასწავლო კურსები გადაიხედა, დაემატა სასწავლო კურსები „ბიზნეს პროცესების ინჟინერინგი და მენეჯმენტი" და „ტექნიკური სისტემების ინჟინერინგი", აღნიშნული ცვლილებები გამოწვეული იყო იმით, რომ პროგრამაზე მოდიოდნენ ორი მიმართულების სტუდენტები: საინჟინრო ბაზისის მქონე და ეკონომისტები ან მენეჯერული ბაზისის მქონენი. ბიზნეს პროცესების ინჟინერინგის სასწავლო კურსისთვის შეიქმნა ლაბორატორიული პრაქტიკუმი, რაც მთლიანად აგებული იყო ბიზნეს პროცესების მართვის სისტემაზე (SAP-ის სისტემა). ლაბორატორიული სამუშაოების ტარდებოდა, ასევე, სასწავლო კურსში ტექნიკური სისტემების ინჟინერიგი, სადაც სტუდენტები მუშაობდნენ მარტივ მოდელებზე და შესაძლებლობა ჰქონდათ დაენახათ ფიზიკური და მათემატიკური მოდელირება. ასევე, ე.წ. ქეისებთ სწავლების მეთოდი დაინერგა.
დაწესებულების წარმომადგენელმა რეკომენდაციებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მათი გარკვეული ნაწილი დაწესებულებისათვის მისაღები იყო. პირველ რეკომენდაციესთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გადაიხედებოდა პროგრამის მიზნები.
სწავლა-სწავლების მეთოდებთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამაში მოცემული იყო ყველა მეთოდი რაც კი პროგრამის ფარგლებში გამოიყენებოდა სხვადასხვა სასწავლო კურსში, თუმცა ყველა სასწავლო კიურსის ფარგლებში გამოიყენებოდა სხვადასხვა სწავლის მეთოდი სპეციფიკის გათვალისწინებით.
სამაგისტრო ნაშრომების შინაარსისა და თემატიკის პროგრამის შინაარსსა და მიზნებთან შესაბამისობას რაც შეეხებოდა, დაწესებუების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნულ რეკომენდაციას დაწესებულება ეთანხმებოდა.
სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ამილახვარმა დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა ყურადღება გაემახვილებინა დასკვნაში ასახულ ისეთ გარემოებებზე რასაც დაწესებულება არ ეთანხმებოდა.
დასკვნის შეფასების წესის დეტალურად გაწერასთან დაკავშირებულ რეკომენდაციასტან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნშნა, რომ უნივერსიტეტს ჰქონდა აღნიშნული წესი და ექსპერტებს წარდგენილი ჰქონდათ ეს წესი.
ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშული წესის შესახებ ინფორმაციას არ ფლობდნენ სტუდენტები, კურსდამთავრებულები და აკადემიური პერსონალი ვინც უშუალოდ ხელმძღვანელობდა სამაგისტრო ნაშრომებს.

ლიტერატურასთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკა მუდვივად ახლდებოდა ლიტერატურით და აღნიშნული საკითხი მუდმივად მოწმდებოდა პროგრამის მესვეურების მხრიდან, როგორც ჩანს ვიზიტის დროს ტექნიკური ხარვეზით იყო გამოწვეული ის, რომ ექსპერტებმა სრულად ვერ ნახეს ბიბლიოთეკაში პროგრამით გათვალისწინებული ლიტერატურა.
სხდომის თავმჯდომარემ ექსპერტებს სთხოვა განმარტება სილაბუსებში ლიტერატურის განახლებასთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ იგულისხმებოდა მოძველებული ლიტერატურა, მოძველებული სტატისტიკური მასალები. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტა, რომ ეს ეხებოდა სპეციფიურ სასწავლო კურსებსა და ლიტერატურას, ეს იყო ისეთი დარგი სადაც ახალი ლიერატურა იშვიათად იქმნებოდა და ითარგმნებოდა და სილაბუსებში მითირებული იყო ის იშვიათი სახელმძღვანელოები რაც ხელმისაწვდომი იყო ქართულ ენაზე. სხვა გამოსავალი დაწესებულებას არ ჰქონდა.
ექსპერტმა, დავით ასლანიშვილმა აღნიშნა, რომ თვალშისაცემი იყო დაცული სამაგისტრო ნაშრომების თემატიკა რომლებიც სცილდებოდა პროგრამის შინაარსს. მაგალითად, ნაშრომი იყო სამხედრო თემატიკის, ტერორიზმის წარმოშობა და მასზე მოქმედი ფაქტორები, ქოლცენტრების მუშაობა, კომპანია ZARA-ს განვითარების ისტორია და სხვა.
სამხედრო თემაზე დაცულ სამაგისტრო ნაშრომტან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეს უკავშირდებოდა ორი ახალი საბაკალავრო პროგრამის ამოქმედებას დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნულმ თავდაცვის აკადემიაში, რაშიც აქტიურად მონაწილეობდნენ მოცემული საგანმანათლებლო პროგრამის პედაგოგებიც. ამ პროგრამების ტავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ მათ კურსდამტავრებულებს ენიჭებოდათ როგორც სამხედრო წოდება, ისე სამოქალაქო კვალიფიკაცია. შესაბამისად, ანალოგიური პროგრამებისთვის დამახასიათებელ საგნებტან ერთად, ისინი სამხედრო სფეროსთვის მნიშვნელოვან ტექნოლოგიურ და მართვის პროცესებსაც სწავლობდნენ - სამარი მოქმედებების დაგეგმვა-განხორციელებას, ჰაერსაწინააღმდეგო სისტემების მართვას, კიბერუსაფრთხოების დაცვასა და საინფორმაციო ომის წარმოებას, დისტანციური მართვის სისტემებს, სამხედრო წარმოებას, კავშირგაბმულობას და ა.შ. ამიტომ სწავლების დაგეგმარებისთვის საჭირო გახდა ჯერ სათანადო საორგანიზაციო პროექტის შექმნა, რომლის საფუძვლად ბიზნესის პროცესული ორგანიზების პრონციპები იქნა აღებული, ხოლო შემდეგ სათანადო ინფორმაციული ტექნოლოგიების შერჩევა და სწავლებაში მათიმ მაქსიმალური ეფექტურობით გამოყენების უზრუნველყოფა. სწორედ ამ და მათთან დაკავშირებულ სხვა მმართველობითიპრობლემების განხილვას ეძღვნებოდა ზემოთხზენებული სამაგისტრო ნაშრომები. მათი ავტორები უშუალოდ მონაწილეობდნენ სათანადო პროექტების შედგენასა და რეალიზებაში.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა დამსაქმებლებტან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე რა განმარტება ჰქონდა დაწესებულებას. ასევე დაინტერესდა სტუდენტების სიმწირე რით იყო გამოწვეული და რა სტრატეგია ჰქონდა ამასთან დაკავშირებით დაწესბულებას. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ შესაძლოა სტუდენტების სიმწირე გამოწვეული იყოფილიყო პროგრამის დასახელებიდან გამომდინარე, მათთვის მისაღები იყო ექსპერტთა რეკომენდაცია, რომ საჭირო იყო პროგრამის ცნობადობის ამაღლება.

საბჭოს წევრი ანა ფირცხალაშვილი დაინტერესდა სამაგისტრო ნაშრომის შესრულება სამ ეტაპს მოიცავდა, შეფასებაც სამ ნაწილად ხდებოდა თუ არა. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ყველა ეტაპი ცალ-ცალკე ფასდებოდა, თუმცა საკვალიფიკაციო ნაშრომის შესრულება იყო საბოლოო ეტაპი და ის ფასდებოდა ერთჯერადად. საბჭოს წევრი სერგო ჭელიძე დაინტერედა სად საქმდებოდნენ პროგრამის კურსდამთავრებულები. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ კონკრეტული დასაქმების სფერო არ არსებობდა. კურსდამთავრებულები საქმდებოდნენ სხვადასხვა კომპანიებსა და ორგანიზაციებში სადაც სამუშაოები მიმდინარეობდა მაღალტექნოლოგიურ პროექტებზე.

18:16 საათზე საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომა განაახლდა 18:30 საათზე.

საბჭომ მიიჩნია, რომ საკითხის სრულყოფილად და სიღრმისეულად შესწავლის მიზნით მიზანშეწონილი იყო საკითხის განხილვის გადადება, რათა საბჭოს სხდომაზე აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე დამატებით მოწვეული ყოფილიყო დარგის დამოუკიდებელი ექსპერტი. .

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ტექნოლოგიური პროექტების მენეჯმენტი და ინდუსტრიული პოლიტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვის გადადების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, გადაიდოს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ტექნოლოგიური პროექტების მენეჯმენტი და ინდუსტრიული პოლიტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

18:45 საათზე დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
გიორგი ამილახვარი

მდივანი
ლევან გორდეზიანი